პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 146 (12962) | ოთხშაბათი, 24 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვი შვეიცარიაში

△ სადილი ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად △ ნ. ს. ხრუშჩოვისა და ტ. ერლანდერის მოლაპარაკება. △ ნ. ს. ხრუშჩოვმა საუზმე გამართა



22 ივნისს სტოკჰოლმში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები.

სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი უპასუხებს სტოკჰოლმის მცხოვრებთა მისალმებებს ჰაგის სასახლესთან.

სტოკჰოლმი, 23 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ შვეციის მთავრობამ საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში სადილი გამართა აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, აგრეთვე მისი თანმხლები პირნი, შვეციის მხრივ სადილზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი მეუღლითურთ, შვეციის თავრობის წევრები, რიკსდაგის დეპუტატები, ქალაქ სტოკჰოლმის ხელისუფალთა, აგრეთვე შვეციის საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სადილზე სიტყვები წარმოთქვეს ტ. ერლანდერმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სტოკჰოლმი, 23 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და შვეციის პრემიერ-მინისტრის ტ. ერლანდერის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სსრ კავშირისა და შვეციის ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის იმ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც საინტერესოა ორივე მხარისათვის.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ეკონომიკურ კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი და სხვები.

შვეციის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ნილსონი, ფინანსთა მინისტრი გ. სტრენგი, ვაჭრობის მინისტრი გ. ლანგე და სხვები.

სტოკჰოლმი, 23 ივნისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა საუზმე გამართა შვეციის პრემიერ-მინისტრის ტ. ერლანდერის პატივსაცემად. საუზმეზე იყვნენ შვეციის თავრობის წევრები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც თან ახლავან ნ. ს. ხრუშჩოვს შვეციაში.

საუზმის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და ტ. ერლანდერმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

ᲛᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐᲨᲘ

ჯაკარტა, 23 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ ნაშუადღევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ა. ი. მიქოიანის მეთაურობით ეწვია პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრს სუბანდრიოს, პრემიერ-მინისტრის მეორე მოადგილეს ლეიმენსა და პრემიერ-მინისტრის მესამე მოადგილეს საოენს. საბჭოთა სტუმრებს ახლდა სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში ნ. ა. მიხაილოვი, ა. ი. მიქოიანსა და ინდონეზიის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის გაიმართა მეგობრული და გულსაღები საუბარი. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა დროებითი სახალხო საკონსულტაციო კონგრესის თავმჯდომარეს სალეს გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოთა თავმჯდომარეთა წერილი.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი და საბჭოთა დელეგაციის წევრები ეწვივნენ ინდონეზიის პარლამენტს. პარლამენტის სხდომათა დარბაზში საბჭოთა სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი სუბამია, მისი მოადგილეები, პარლამენტის დეპუტატები. საუბრის დროს, რომელმაც გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, ა. ი. მიქოიანმა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, აგრეთვე ინდონეზიის პარლამენტის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის პარლამენტართა კონტაქტების ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში. ა. ი. მიქოიანმა და სუბამამ ერთმანეთს აზრი გაუზიარეს თავიანთი პარლამენტების მუშაობის შესახებ, ილაპარაკეს პარლამენტების სტრუქტურაზე. ა. ი. მიქოიანმა სუბამიას გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეთა წერილი.

ჯაკარტა, 23 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). მეორე დღეა მეგობარ ინდონეზიაში სტუმრად არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ა. ი. მიქოიანის მეთაურობით.

დღეს დილით საბჭოთა სტუმრები იყვნენ ინდონეზიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირების „კალიბატას“ სასაფლაოზე. საბჭოთა დელეგაციას ახლდნენ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო, პრემიერ-მინისტრის მოადგილე სალეკი. ა. ი. მიქოიანმა სასაფლაო შეამკო გვირგვინით, რომელზეც წეწერა: „ემირებს, რომლებიც დაიღუპნენ ინდონეზიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციისაგან“. სასაფლაოზე გაისმა საგმაგონიარო მელოდია „დაღუპულთა ხსოვნა“. ა. ი. მიქოიანმა, პრეზიდენტმა სუკარნომ და მათმა თანმხლებმა პირებმა მწუხარე დუმილით პატივი სცეს დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი და პრეზიდენტი სუკარნო ავტომანქანებით წავიდნენ ბოგორში, პრეზიდენტის სასახლეში.

ამ ქალაქის მცხოვრებლები გულთბილად მიესალმნენ ა. ი. მიქოიანსა და პრეზიდენტ სუკარნოს. სასახლეში გაიმართა ხანგრძლივი მეგობრული საუბარი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიქოიანსა და პრეზიდენტ სუკარნოს შორის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრებმა დღეს ავტომანქანებით გაისეირნეს ქალაქში და ნახეს ინდონეზიის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

ჯაკარტა, 23 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს პრეზიდენტი სუკარნო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რომელიც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დელეგაციას, ბოგორიდან ჯაკარტაში დაბრუნდნენ.

(საკდესი).

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲒᲖᲔ

□ **თავდადებულად** შრომობს ჭიათურის მარგანეტრესტის ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც ღარიბ მადნებს ამდიდრებს და დანაკარგებს ამცირებს.

ჩვენ ორი კვირით ადრე შევასრულეთ სასაქონლო მარგანეცის დამზადების ხუთი თვის დავალება და ივნისის ანგარიშში ათასობით ტონა მარგანეცი გავუგზავნეთ მეტალურგიულ ქარხნებს.

წარმატებით მუშაობენ ზ. გამყრელიძის, ნათელა ნიფარიძისა და ს. სამხარაძის ცვლები. ისინი ყოველდღიურად ზეგეგმით მარგანეცს იძლევიან.

ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის.

ბ. ასათიანი.

ჭიათურის ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

□ **ახალი** შრომითი წარმატებები მოვიპოვოთ შვიდწლედის მეექვსე წელს, წლიური გეგმა შევასრულოთ ოქტომბრის რევოლუციის დიადი დღესასწაულისათვის — ასეთია თბილისის ბამბის ფაბრიკის (დირექტორი ე. ზაბელაშვილი) კოლექტივის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება, რომლის შესასრულებლად ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მოპოვებულია პირველი წარმატებანი. ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის დავალება ვადაზე ადრე 26 მაისისათვის შეასრულა და დამატებით 43 ტონა ბამბა გამოუშვა.

შრომაში დაწინაურდა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც რ. მამედოვი უძღვება. ამ ბრიგადამ ეგეგმის გადამეტებით 17 ტონა ბამბა მიაწოდა მომხმარებელს.

ᲐᲢᲝᲛᲘ ᲛᲝᲜᲘᲓᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ზღვის წყლის გამტკნარების პრობლემას „დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მტკნარი წყლის რეზერვების გადიდების მოთხოვნილება არის მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრი განვითარებადი ქვეყანა განიცდის მტკნარი წყლის სულ უფრო დიდ ნაკლებობას, რომელიც ესოდენ საჭიროა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის.

უსწრაფესად რომ გადაიჭრას ატომური ენერგიის საშუალებით ზღვის წყლის გამტკნარების პრობლემა, მიღწეულია შეთანხმება, რომ 4ა წლის 14-15 ივლისს ვაშინგტონში მოეწყოს საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტების შეხვედრა შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური საკითხების ერთობლივად შესწავლისათვის. აღნიშნული შეთანხმება მიღწეულია მას შემდეგ, რაც ამ ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა გააკეთეს განცხადებანი, რომ აპირებენ უახლოეს წლებში შეამცირონ ხლეჩადი მასალების წარმოება სამხედრო მიზნებისათვის.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-33“

საკდესის ცნობა

1964 წლის 23 ივნისს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-33“-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც გაჯეუთვნილია, იმისათვის, რომ გაგაძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 89,38 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 293 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 209 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 65 გრადუსია.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზე არის:

—რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით;

— რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

ᲐᲡᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ

მოსავალი ავიღოთ 12 სამუშაო დღეში!

ასურეთის ველ-მინდვრებზე ქერისა და ხორბლის ნათესებს ოქროს ფერი დაედო. მარცვლებით დამძიმებულმა თავთავებმა თავი დახარეს და მომკელს მოუხმეს. ასურეთელებიც ამ დღეს ელოდნენ. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ერთად შეეყია ყანებს.

სამმა „მინდვრის ხომალდმა“ ერთდროულად აიღო სტარტი 270 ჰექტარიან ქერის ყანაში. სახელოვნამა კომბაინერებმა **გიორგი მესტვირიშვილმა, რამაზ ყრუაშვილმა** და **ემილ შავემა** პირველებმა დაიწყეს მკა და ლეწვა. კალოზე მარცვალი დახვავდა.

ჰექტარზე 28 ცენტნერი ქერის მარცვალი! — ასეთი იყო პირველი დღის შედეგი. უხვი მოსავლით აღფრთოვანებულებმა უფრო მეტი ენერგიით შეუტიეს ყანებს. ჰექტარს ჰექტარები მისდევს, კალოზე მარცვლის ხვავი სულ უფრო იზრდება. ზოგიერთ ნაკვეთზე მოსავალმა 30 ცენტნერსაც გადაამეტა. ასეთი მოსავალი თეთრი წყაროს რაიონისათვის იშვიათია.

— ჩვენს მინდვრებში ასეთ მოსავალს ჯერ არ მოვსწრებივარ, — სთქვა ასურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვანო ჩომახაშვილმა, — გასულ წელსაც კარგი იყო მოსავალი, მაგრამ საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერს ვერ გადავამეტეთ. ქიმიამ, სასუქებმა თავისი სიტყვა თქვეს. ნათესებში შეტანილმა ათეულობით ტონა სასუქმა დიდძალი სარგებელი მოგვცა, იმატა მოსავალმა. ქიმიას მართლაც ჯადოსნური ძალა ჰქონია.

...მართლაც შესანიშნავი პირი უჩანს მოსავალს ასურეთში. მექანიზატორები მთელი ენერგიით იბრძვიან მოზღვავებული მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

ყოველდღიურად ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა მოსავალი ავიღოთ 12 ჰექტარზე! — ამ დევიზით დაიწყეს მოსავლის აღება კომბაინერებმა და პირობას საქმით ანადღებენ. დღემდე მათ 100 ჰექტარი ქერის მოსავალი აიღეს. ყოველდღიურად თვითეული კომბაინერი 300 ცენტნერამდე ქერის გალეწვას ასწრებს. კოლმეურნეობის კალოზე ყოველდღიურად ავტომანქანებით 900 ცენტნერი მარცვალი მოაქვთ. უხვი მოსავლით აღფრთოვანებული არიან სოფლის მშრომელები.

ერთი ღირსშესანიშნავი საქმეც წამოიწყეს ასურეთელმა მექანიზატორებმა. კომბაინის კვალს გუთანმობმული ტრაქტორი მისდევს. ნაწვერალს ხნავენ, მალე სასილოსე სიმინდის თესვას დაიწყებენ.

— ორი მოსავალი ერთ წელიწადში — ასეთი ვალდებულება აიღეს ასურეთელებმა.

თ. ბილიხოძე.

თეთრი წყაროს რაიონის „ლენინური გზის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე.

ᲐᲡᲣᲠᲔᲗᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

რეპორტაჟი მინდვრიდან

სიღნაღი. (ტელეფონით). **ალოობაა სიღნაღის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.** კომბაინთა აგრეგატები შეუფერებლად მუშაობენ შემოსული პურეულის აღებაზე. სოფელ **ტიბაანის** კოლმეურნეობაში მინდვრის ხომალდები ახმაურდნენ, პურის მკას აჩქარებენ. ამ საქმეში პირველობას არავის უთმობს მექანიზატორი **მამაიაშვილი.** იგი დღეში მკის 15 ჰექტარს ნაცვლად 10 ჰექტარისა. ტიბაანელებმა პურეულის მოსავალი უკვე 250 ჰექტარზე აიღეს.

სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში კომბაინერი **ზურაშვილი** იბრძვის იმისათვის, რომ თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება 10 სამუშაო დღეში დაამთავროს. მას სიტყვის გამრუდება არ სჩვევია, დღეში მკის 15 ჰექტარს და ამით დღიურ ნორმას 5 ჰექტარით აჭარბებს.

ხორბლის მოსავალს სწრაფად და უდანაკარგოთ იღებენ აგრეთვე **ზემო მაჩხაანის, ჯაფარიძის, ულიანოვკის** და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში. სულ რაიონში პურეულის მოსავალი აღებულია 2.097 ჰექტარზე.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲒᲐᲠᲯᲐ

კური — სამშობლოს!

ყვარელი. (საკ. კორ.). გუშინ კოლმეურნეობებმა მასობრივად დაიწყეს სახელმწიფოსათვის ხორბლის მიყიდვა. ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. დობრონეცკი ხელმძღვანელობს, პურპროდუქტების ბაზას 500 ცენტნერი პური ჩააბარა, კაბლის კომბინატრნის სახელობის კოლმეურნეობამ — 400 ცენტნერი და. სხვ.

ᲡᲘᲖᲐᲠᲣᲚᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲖᲔ

„თოლია“ და მისი ქალიშვილი შინ არიან

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანობისა და გინეკოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივმა 23 ივნისს საზეიმოდ გააცილა თავისი პაციენტი — ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა და მისი ქალიშვილი ალიონუშკა. ადამიანებმა, რომლებიც ბევრს შრომობენ დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისათვის, სულითა და გულით დაულოცეს გზა შინ მიმავალ ახალგაზრდა დედას.

...ვესტიბიული სავსეა ყვავილებით. აქ თავი მოუყრიათ ექიმებს, მედიცინის დებს, სანიტრებს. ინსტიტუტის დირექტორმა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ო. მაკეევამ, სამეანო განყოფილების გამგემ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა რ. კალანთარიანმა და ახალშობილთა განყოფილების გამგემ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ელიზაროვამ ვალენტინა და ანდრიან ნიკოლაევებს გადასცეს ქალიშვილი, რომელიც 8 ივნისს დაიბადა.

გაისმის მისალმებანი, კეთილი სურვილები, დიდი მადლობა. ბედნიერი მშობლები აღფრთოვანებული არიან. თავისი ქალიშვილით ვალიათი ხარობს ელენე თევდორეს ასული ტერეშკოვაც, გახარებული არიან აქ მყოფი იური გაგარინი, გერმანე ტიტოვი, პავლე პოპოვიჩი, ვალერი ბიკოვსკი. კოსმონავტების მეუღლენი. ახალგაზრდა მშობლებს ყველანი უოლცავენ, ჯანმრთელობას უსურვებენ ვალენტინა ვლადიმერის ასულს და პატარა ლენას.

ორი კვირა დაჰყო კოსმოსის გმირმა ინსტიტუტში. ბევრი მოლოცვის დეპეშა და წერილი მოვიდა აქ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

— დიდად კმაყოფილი ვართ, რომ ჯანმრთელი გავწერეთ შინ ვალენტინა ვლადიმერის ასული; — უთხრა საკდესის კორესპონდენტს პროფესორმა ო. მაკეევამ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ ვადაზე 4-5 კვირით ადრე იმშობიარა. ბავშვი სამ კილოგრამსა და ას გრამს იწონიდა და 51 სანტიმეტრი სიგრძის იყო, მაგრამ მას დღენაკლი ბავშვის ზოგიერთი ნიშანი ჰქონდა.

სანტერესოა აღინიშნოს, განაგრძო პროფესორმა ო. ვ. მაკეევამ, რომ ვალიას დედამ და დამ აგრეთვე ვადაზე ერთი-ერთხანევარი თვით ადრე იმშობიარეს და მათი ბავშვები სამ კილოგრამზე ნაკლებს არ იწონიდნენ. ასეთი შემთხვევები სამეანო პრაქტიკაში იშვიათი არ არის. მშობიარობის შემდეგ პერიოდში ნიკოლაევა-ტერეშკოვას არავითარი გართულება არ ჰქონია.

რაც შეეხება გოგონას, თქვა ინსტიტუტის დირექტორმა, იგი კარგად ვითარდება, მშვენიერი მადა აქვს, 400 გრამი მოიმატა. პროფესორი რაისა ივანეს ასული კალანთარიანი გარკვეული დროის განმავლობაში მეთვალყურეობას გაუწევს დედას. სამედიცინო მეთვალყურეობას გაუწევთ ბავშვსაც.

გამგზავრების დღეს ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ წერილით მიმართა მედიცინის მუშაკთა კოლექტივს. „ძვირფასო მეგობრებო! — წერს იგი. — თქვენს ინსტიტუტში მე და ალიონუშკა განუწყვეტლივ ვგრძნობდით მზრუნველობასა და ყურადღებას. დღეს დიდად გახარებული ვართ, რადგან უნდა გავიწეროთ აქედან. ამავე დროს კიდევ გვაღონებს განშორება შესანიშნავ ადამიანებთან, რომლებიც ახლობლები გახდნენ ჩვენთვის“.

ახლა „თოლია“ და მისი გოგონა შინ არიან. დიდმა სიხარულმა და ბედნიერებამ დაისადგურა კოსმონავტ ნიკოლაევების ოჯახში.

ბ. ლუკიანოვი.

(საკდესის კორ.).

მოსკოვი, 23 ივნისი.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-33“

საკდესის ცნობა

1964 წლის 23 ივნისს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-33“-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც გაჯეუთვნილია, იმისათვის, რომ გაგაძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 89,38 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 293 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 209 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 65 გრადუსია.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზე არის:

—რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით;

— რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

● ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ● ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ● ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ●

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲐᲯᲐᲜᲒᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ლონდონი, 23 ივნისი. (საკდესი). ჩრდილოეთ კაჯანგის დედაქალაქ ალბერტვილში, რომელიც კონგოელ მეამბოხეთა რაზმებმა დაიკავეს 19 ივნისს, შეიქმნა მთავრობა. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ პატრის ლუმუმბას მთავრობის ყოფილი განათლების მინისტრის პიერ მულელეს მომხრეები. როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, მეამბოხენი ბებგავენ იერიში მიიტანონ ალბოსავლეთ კატანგის დედაქალაქ გოდენვილზე.

„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲒᲛᲐ ᲛᲝᲒᲕᲮᲘᲒᲚᲔᲡ“

სოფია, 23 ივნისი. (საკდესი). უდიდესი წარმატება ხვდა წილად საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლებს პლოვდივში, გაბროვოსა და სოფიაში, ბულგარეთის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა მსახიობების ოსტატობას.

ქართველმა მოცეკვავეებმა, წერს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, მოგვიბიძეს სწრაფი რიტმული ტემპით, მგზნებარე ტემპერამენტით, ბრწყინვალე ქორეოგრაფიული ხელოვნებით.

„ზემოდელსკო ზნამე“ აღნიშნავს, რომ ანსამბლის კონცერტები მკაფიო წარმოდგენას გვიქმნიან საბჭოთა საქართველოს თავისთავად საცეკვაო ფოლკლორზე. გაზეთი წერს, რომ საბჭოთა მსახიობებისათვის ერთნაირად ხელმისაწვდომია როგორც ვირტუოზული, ისე ღრმა ლირიკული ცეკვები.

ჩვენი ქართველი სტუმრების კონცერტი, წერს გაზეთი, გადაიქცა უდიდეს მოვლენად, რომელიც დიდხანს დარჩება ბულგარელ მაყურებელთა გულში.

ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲛᲮᲠᲜᲔᲑᲘ

ლონდონი, 23 ივნისი. (საკდესი). მაშელი ჯარები, რომლებიც ლეოპოლდვილის მთავრობამ იმ მიზნით გაგზავნა, რომ აჯანყებულებისათვის წაერთვათ 19 ივნისს დაკავებული ქალაქი ალბერტვილი, აჯანყებულებს მიემხრნენ.

ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲛᲐᲜᲘᲕᲠᲔᲑᲘ

ბონი, 23 ივნისი. (საკდესი). დღეს დაიწყო ნატოს სამხედრო-საჰაერო მანევრები, რომელშიც მონაწილეობენ საავიაციო შენაერთები და ის ნაწილები, რომლებიც ნატოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობას ექვემდებარებიან ევროპის ცენტრალურ ზონაში. მანევრები ეწყობა 25 ივნისამდე და მისი მიზანია „შეამოწმოს ნატოს საჰაერო თავდაცვის მთელი სისტემა ევროპის ცენტრალურ ზონაში“.

მანევრებში მონაწილეობენ კანადის, ბელგიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, იტალიისა და სხვა ქვეყნების საავიაციო ნაწილები.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

წყალდიდობა კოლუმბიაში

ლონდონი, 23 ივნისი. (საკდესი). სამი კაცი დაიღუპა კოლუმბიის ვალიე დელ კაუკის დეპარტამენტში მდინარეების კალისა და კანაველალეოს ადიდების შედეგად.

როგორც რეიტერის საგენტოს ბოგოტელი კორესპონდენტი იუწყება, უბედურების რაიონში გამოცხადებულია საგანგებო წესები. ევაკუირებულია 25.000 კაცი. პოლიცია, სამხედრო ნაწილები, სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავები მობილიზებულია მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. ა. კარპოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი, ნაყოფიერი და აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის საბჭოთაა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1904 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ამხ. **კონსტანტინე ალექსის-ძე კარპოვი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ქ. თბილისი, 1964 წლის 22 ივნისი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

რუსთავში დაიწყო დიდი ლაშქრობა წარმოების რენტაბელობისათვის

მეტალურგთა კომუნისტური თამასუქი

რროგორ მუშაობს საწარმო — საზარალოა თუ მოგებას იძლევა, ფლანგავს საზოგადოებრივ საშუალებებს თუ ამრავლებს მათ — ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოგების ალურიცხველად შეუძლებელია გამოვარკვიოთ, რა დონეზე დგას საწარმოს მეურნეობის გაძღოლა და როგორი წვლილი შეაქვს მას საერთო-სახალხო ფონდში.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

მეტალურგთა ფიქრები და მისწრაფება

ო. სულაძე,
ქარხნის დირექტორი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ერთ-ერთი ისეთი დიდი საწარმოა მთელ ჩვენს ქვეყანაში, სადაც სრული საწარმოო მეტალურგიული ციკლი შეფარდებულია მილწარმოებასთან, რაც მას განასხვავებს სხვა მეტალურგიული და მილსაგლინავი ქარხნებისაგან და ქარხნის კოლექტივის შუამბრძოლობაში ეკონომიკურ პირობებს ქმნის. საწარმოს მუშაობის სპეციფიკურობას აძლიერებს ნედლეულის რესურსების, სახელდობრ, ქვანახშირის კონცენტრატისა და რკინის მადნის ხარისხობრივი თავისებურება და მაღალი ფასი.

მიუხედავად ამ თავისებურებებისა, რუსთავის მეტალურგები მაინც ახერხებენ წარმოების ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველყოფას და მთელი რიგი საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით სხვა მოწინავე მეტალურგიული ქარხნების წყებაში საპატიო ადგილის დაკავებას.

შეიდწლედის განვლილ წლებში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დიდი ცვლილებები მოხდა. წარმოების მოცულობის ზრდის ის საკონტროლო ციფრები, რომელთა მიღწევა გათვალისწინებული იყო 1965 წლისათვის, მიღწეულ იქნა ორი წლით ადრე 1963 წელს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო პროგრამას.



სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — რუსთავის მილსაგლინავი საამქროს უფროსი პ. წერეთელი, ქარხნის მთავარი ბუხჰალტერი ს. რუსაძე, კოქსქიმიური საამქროს უფროსის მოადგილე გ. აკიმენკო და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე ვ. კირვალიძე.

გადამწყვეტია კადრები, კომუნისტური შრომა

ლ. ხარბედია,
პარტიული კომიტეტის მდივანი,

ახალგაზრდაა რუსთავი და ახალგაზრდობაა მისი ძირითადი კადრი. 1959 წელს, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულებას, რუსთავის მეტალურგებმა საქვეყნოდ განაცხადეს, რომ იშრომებენ და იცხოვრებენ კომუნისტურად. რუსთაველმა მეტალურგებმა თქვეს და ჩაებნენ სახალხო ლაშქრობაში. მალე ქარხნისა და საამქროთა ნამდვილი კომუნისტური შრომის შუქურები გახდნენ ა. ფანცულაია, ა. ძამაშვილი, გ. ბერეკაშვილი, ა. ჯაჯანიძე, მ. კიკვიძე, რ. რიფამაძე, ზ. ყავლაშვილი, დ. ძაგანია, მ. სპანდარაშვილი, ვ. ბენდიანიშვილი, ი. იანჩუკი, ი. ტაბატაძე და სხვა.

ქარხანაში არის იმის დამადასტურებელი ფაქტები, თუ როგორ ერევიან წარმოების მტკივნეული საკითხების გადაწყვეტაში რიგითი მეტალურგები. დიდია კადრების წვლილი წარმოების პროცესების ავტომატიზაციასა და კომპლექსურ მექანიზაციაში. ძნელია ახლა მოიძებნოს ბრიგადა, ცეხი, უბანი თუ საამქრო, რომელიც არ ატარებდეს კომუნისტური შრომის საპატიო სახელს ან არ იბრძოდეს ასეთის მოსახვეჭად.

დიდია წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფის საკითხში კომუნისტების, მთელი საქარხნო პარტიული ორგანიზაციის როლი. სათანადო აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად ყველა მშრომელმა იცის ქარხნის წინაშე მდგომი ამოცანების მნიშვნელობა. ეს ამოცანა კი ის არის, რომ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში იმუშაოს უზარალოდ და მოგებულ წელს მიიღოს რენტაბელური მუშაობის სიმწიფის ატესტატი.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების დარბაზში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ტექნიკური პროგრესი — წინსვლის ლოკომოტივი

კ. წერეთელი,
მილსაგლინავი საამქროს უფროსი,

მ. მინდელი,
აგლო-საბრძმედე საამქროს უფროსი,

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანამ დღის წესრიგში მირეულ-ხარისხოვან საკითხად დააყენა ტექნიკური პროგრესის განვითარება. იგი მართლაც რომ წინსვლის ლოკომოტივია. ქარხანაში შვიდწლედის განვლილ პერიოდში მრავალი ღონისძიება და ტექნიკური სიახლე განხორციელდა, რამაც დიდი ეკონომიური შედეგი გამოიღო. აი ეს ღონისძიებანი:

მილსაგლინავ დგან „400“-ის სრული ავტომატიზაცია, მარტენის ღუმელებს რეკონსტრუქცია, ბუნებრივი გაზის გამოყენება ბრძმედებსა და მარტენის ღუმელებში, მაზუთის ხარჯვის შემცირება მარტენის ღუმელებში 35 პროცენტიდან 25 პროცენტამდე, მარტენის ღუმელების საშუალო ჩატვირთვის ზრდა, მაღალი ფუძიანობის დაფლუშული აგლომერატის ათვისება, მილის ნამზადის ცეცხლით გაწმენდა, საგლინავი და მილსაგლინავი საამქროების სახურავი ღუმელების გადაყვანა ბუნებრივ გაზზე და სხვ. ყოველივე ამან დიდი ეფექტი მისცა წარმოებას, მინიმუმამდე შემცირდა სახელმწიფოს დოტაცია, ქარხანას გზა გაეხსნა რენტაბელური მუშაობისაკენ.

და მაინც ტექნიკური პროგრესის დარგში ჯერ კიდევ ბევრი „ეიწრო ადგილია“. მრავალი პრობლემატური საკითხი ოპერატიულ გადაწყვეტას მოითხოვს.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საწარმოს რენტაბელობის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებაა ტექნოლოგიური პროცესების ეფექტურობის ამაღლება და გაუმჯობესება, სამამულო და უცხოთის პრაქტიკის ყველა უახლეს მიღწევათა დანერგვა, აგრეგატების ნაყოფიერების ამაღლება, მექანიზაციისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის განხორციელება, არსებულ სიმძლავრეთა სრულად გამოყენება.

რუსთავის მეტალურგებს ამ მხრივ კარგი მაგალითი აქვთ. კოქსქიმიურ საამქროში, რომელიც რენტაბელურად მუშაობს. პირველად საბჭოთა კავშირის მეტალურგიული ქარხნების პრაქტიკაში შემოიღეს ქვანახშირის კაზმის გაზეთვა. ამის შედეგად შესამჩნევად გაიზარდა ქიმიური პროდუქტების გამოშვება და ამასთან ყოველწლიურმა ეკონომიამ 30.000 მანეთს გადააჭარბა.

საბრძმედე წარმოების გაუმჯობესებასა და მისი ეკონომიკის ამაღლებას დიდად შეეწყო ხელი საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციამ, ბრძმედებში საწვავად ბუნებრივი გაზის გამოყენებამ და ღუმელების გადაყვანამ საკერძის ქვეშ გაზის გადიდებულ წნევაზე, პაერგამხურვლების ფარობის გადიდებამ და ბერის ტემპერატურის მომატებამ, ფლუსნარევი აგლომერატის გამოყენებამ და კაზმის შემადგენლობაში მისი ხვედრის გადიდებამ. ყოველივე ამან დადებითი თან, საგლინავ დგანთან და აგრეგატთან.

ლაქები დიდ წარმაჯებათა ფონზე

ს. რუსაძე,
ქარხნის მთავარი ბუხჰალტერი.

მიუხედავად დიდი წარმატებებისა, ქარხანაში ჯერ კიდევ დიდია ნაკლოვანებები, გამოუყენებელია ძვირფასი რეზერვები, მაღალი წუნდებული პროდუქციის გამოშვების პროცენტი, ხშირად ირღვევა ტექნოლოგიური დისციპლინა, ადგილი აქვს უყაირათობას, რის შედეგად ხშირია ზარალი და მრავალი სხვა არასასიამოვნო მოვლენა.

ავიღოთ დანაკარგები წუნისაგან. პროდუქციის თვითღირებულებაში წუნით გამოწვეული ზარალი 0,8-0,9 პროცენტს შეადგენს. სამწუხაროდ, ეს მაჩვენებელი გაუმჯობესების ნაცვლად უარესდება. ამიტომ ახლა აქ მთავარი ყურადღება გადატანილ უნდა იქნას პროდუქციის ხარისხზე. დიდი რეზერვები იმალება ტონა თუჯზე კოქსის ხარჯის შემცირებაშიც. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ კოქსის ხარჯის შემცირება საბრძმედე საამქროში დადებით გავლენას ახდენს თვითღირებულების შემცირებაზე, ქარხნის რენტაბელურ მუშაობაზე.

ყარგად დაიწყო მიმდინარე წელი მარტენის საამქრომ. 5 თვის გეგმა მეფოლადეებმა 102 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს რამდენიმე ათეული ათასი ტონა ფოლადი. საამქრომ შეამცირა კაზმის პირობითი საწვავისა და სხვათა ხარჯვა. ყოველივე ამან კი გამოიწვია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მიღებულ იქნა ეკონომია.

და მაინც საამქროში მრავალი ხელუხლებელი რეზერვია, რომელთა ამოქმედება დიდად შეუწყობს ხელს ქარხნის რენტაბელურ საწარმოდ გადაქცევას. ინსტრუქციის უხეში დარღვევა იწვევს წუნს, ლითონის ხარისხის დაცემას, დაკვეთების შეუსრულებლობას. პირველ კვარტალში წუნდებული პროდუქციის გამოშვება წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. წუნის ძირითად სახედ ითვლება არხებში დაღვრილი ფოლადი, ცივი დნობის დროს ლითონის დაკარგვა, აგრეთვე ცივი და გადახურებული ლითონი.

საამქროს კოლექტივს სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს დაკვეთების გრაფიკის შესრულების მხრივ. დაკვეთების გრაფიკის საშუალო შესრულება არ აღწევს 85 პროცენტზე მეტს. ბუნებრივია, რომ ამას მივყავართ უყაირათო, არარენტაბელური მუშაობისაკენ.

მოლგლინავებმა შესანიშნავად ითვისეს მეტად დეფიციტური მილების წარმოება ე. წ. ცივად ადიდვის მეთოდით. საექსპლოატაციოდ გადასცეს მაღალი სიმტკიცის მილების დასამუშაებელი თერმული განყოფილება.

მეტალურგები ითვალისწინებენ კოქსქიმიურ საწარმოში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ ქიმიის განვითარებას, კერძოდ პიროლიზის ფისის გადამუშავებას, რათა მისგან მიიღონ უფრო სუფთა და ძვირადღირებული პროდუქტები, მოაწყონ კოლოიდური გოგირდისა და სხვა ახალი ქიმიური პროდუქტების წარმოება.

გთვალისწინებულია მთელ რიგ სიახლეთა დანერგვა საბრძმედე წარმოებაში. ბრძმედი, როგორც ცნობილია, გვაძლევს თუჯს, მაგრამ კოქსის ხარჯი იწვევს მისი თვითღირებულების ამაღლებას. ამიტომ ვფიქრობთ საბრძმედე კაზმში გავადიდოთ აგლომერატის ხვედრი წილი. ამით შევამცირებთ კოქსის ხარჯს, რაც თუჯის თვითღირებულების შემცირებასაც გამოიწვევს.

კარგ ეკონომიურ ეფექტს მოელიან მეტალურგები იაფი და მაღალხარისხოვანი წითელწყაროს კირქვის გამოყენებაზე. გადასვლით, რომლის მოსამოვებელი კარიერი უკვე მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ, მარტენის საამქროში ფოლადის გამოდნობას უთუოდ გაზრდის დარჩენილი ოთხი ღუმელის ქვეშში ჩასატვირთი მოცულობის გადიდება, მიღებულია ზომები ბოყვების გამძლეობის გასადიდებლად, პირობითი საწვავის ხარჯის შესამცირებლად და ღუმელთა ქვედების მდგრადობის გასაძლიერებლად, აგრეთვე ძვირადღირებული გამაანგვეელების ხარჯვის შესამცირებლად და ღუმელებში ჩასატვირთი კაზმის მომზადების გასაუმჯობესებლად.

მაგალითად, 1963 წლის პირველ ოთხ თვეში წუნდებული პროდუქციისაგან გამოწვეულმა ზარალმა 250.700 მანეთი შეადგინა, წელს კი შესაბამის პერიოდში იგი 280.100 მანეთამდე გაიზარდა.

ქარხანაში ჯერ კიდევ დიდია არასწორმოო ხარჯები, წელს ოთხ თვეში ვაგონების მოცდენისათვის გადახდილია 115.200 მანეთი, დარიცხვებისა და ჯარიმების სახით — 18.600 მანეთი, საქარხნო საწყობებში მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის და გაფუჭებული საქონლისათვის — 3.500 მანეთი, სხვადასხვა წვრილმანი დანახარჯები —1.300 მანეთი.

ძალზე ძვირი უჯდება ქარხანას მიმდინარე რემონტები. მართალია, ქარხნის ხელმძღვანელობამ ნაწილობრივ უარი განაცხადა ამ მხრივ ქვემოთ ორგანიზაციების მომსახურებაზე და თვითონ დაიწყო მიმდინარე რემონტების წარმოება, მაგრამ ეს მასობრივად როდი ხდება. ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი თანხის გადახდა უხდება ქარხანას ისეთი ორგანიზაციისათვის, როგორიც არის „იუჟდომნორემონტი“, რომელიც „კაპიტალურ რემონტთან ერთად მიმდინარე რემონტსაც აწარმოებს.

ბრძმედისა და საგლინავ საამქროების მიმდინარე რემონტი ქარხანას თავისუფლად შეუძლია აწარმოოს საკუთარი ძალებით, ეს ნაახლოებით 4-ჯერ შეამცირებს რემონტის ღირებულებას და გაუმჯობესდება რემონტის ხარისხი. ყოველივე ეს დიდად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

რენტაბელური მუშაობის უზრუნველყოფად საჭიროა ქარხანაში მოეწყოს მიმდინარე რემონტების ჩასატარებელი სპეციალიზებული საამქრო. ერთი შეხედვით, შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ასეთი საამქროს შექმნა არ გაამართლებს იმედებს, მაგრამ გაანგარიშებული და დადგენილია, რომ იგი 300-400 ათას მანეთს დაუზოგავს ქარხანას ყოველწლიურად.



რენტაბელობის საიმედო რეზერვები

ვ. კირვალიძე,
პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი საქარხნო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე.

სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული გეგმები რუსთავის მეტალურგებს. წინაშე აყენებს წარმოების ეკონომიკის გაუმჯობესებას, მატერიალური რესურსების — ხელფულის, სათბობის და სხვათა ეკონომიურად გამოყენების დიდმნიშვნელოვან საკითხებს, მთელი რეზერვების ამოქმედების აუცილებლობას.

ბევრი რეზერვები გაჩენილა თუჯის მდნობელებს. აგლოსაბრძმედე საამქროში ამჟამითი როდია ტექნოლოგიის დარღვევის შემთხვევები. პირველ კვარტალში გამოშვებულ იქნა თუჯი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავდა გოგირდს. მეორე კვარტალში გოგირდის შემცველობა თუჯში დაკლების ნაცვლად ითქმის რამდენადმე გაიზარდა. ამან გააუარესა მთელი ქარხნის ხარისხობრივი მაჩვენებლები. თუ გავითვალისწინებთ, რომ თუჯი, რომელიც შეიცავს გოგირდს 0,05 პროცენტიდან 0,08 პროცენტამდე, ზრდის ფოლადის დნობის ხანგრძლივობას ერთი საათით და იწვევს დაკოქების შეუსრულებლობას დაახლოებით 50 პროცენტით, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდ გადახარჯვებს გამოიწვევს ისეთი თუჯის გამოშვება, რომელშიც კიდევ უფრო მაღალია გოგირდის შემცველობა. ამიტომ ახლა აქ მთავარი ყურადღება გადატანილ უნდა იქნას პროდუქციის ხარისხზე. დიდი რეზერვები იმალება ტონა თუჯზე კოქსის ხარჯის შემცირებაშიც. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ კოქსის ხარჯვის შემცირება საბრძმედე საამქროში დადებით გავლენას ახდენს თვითღირებულების შემცირებაზე, ქარხნის რენტაბელურ მუშაობაზე.

ჩვენი გადაწყვეტილება

როგორც ცნობილია, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა სხვადასხვა მიზეზების გამო დიდი ზარალით მუშაობდა და სახელმწიფოსაგან დოტაციის სახით ათეულ მილიონობით მანეთს იღებდა. წარმოებაში ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად, შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განხორციელებით, მასალების ეკონომიური ხარჯვით წლითიწლობით მცირდებოდა პროდუქციის თვითღირებულება და სახელმწიფო დოტაცია მინიმუმამდე იქნა დაყვანილი.

ღრმა ანალიზი გავუკეთეთ გასულ წლისა და მიმდინარე წლის ოთხი თვის მუშაობას, ვიანგარიშეთ ყველა საამქროსა და მთელი წარმოების ზარალი, დავაზუსტეთ მისი გამომწვევი მიზეზები და იმ დასკვნამდე მივედით, რომ თუ წარმოების მთელ რეზერვებს ავამოქმედებთ, მაქსიმალურად გამოვიყენებთ ტექნიკას, გავაუმჯობესებთ პროდუქციის ხარისხს, მინიმუმამდე დავიყვანთ წუნით გამოწვეულ ზარალს, მკვეთრად შევამცირებთ არასწორმოო ხარჯებს, — შევძლებთ, რომ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში წარმოებამ მიაღწიოს უდოტაციო მუშაობას, ხოლო 1965 წლიდან იმუშაოს რენტაბელურად. კრებამ გადაწყვიტა:

1. 1964 წლის გეგმა შესრულებულ იქნას ვადამდე და გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს დიდძალი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები;

2. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ამაღლდეს 0,8 პროცენტით, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შემცირდეს 100 ათასი მანეთით;

3. დაზოგილ იქნას 4 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 6.000 ტონა პირობითი საწვავი;

4. ქარხანაში დაინერგოს 450 რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც წარმოებას წლიურად მისცემს ერთ მილიონ მანეთ პირობით ეკონომიას;

5. შემცირდეს მოწყობილობის რემონტისა და შენახვის ხარჯები 950 ათასი მანეთით;

6. არასაწარმოო ხარჯები გასულ წელთან შედარებით შემცირდეს ორჯერ;

7. გასაშვებ-ასაწყობი და საპროექტო სამუშაოების რაციონალურად მოწყობის გზით ამ მიზნისათვის გათვალისწინებული ხარჯები შემცირდეს 90-100 ათასი მანეთით;

8. შემცირდეს გამოშვებული პროდუქციის წუნი გასულ წელთან შედარებით 0,1 პროცენტით;

9. ჩაბმულ იქნას ყველა ხახის სწავლებაში 8.000 კაცი;

10. ვაძლევთ რა მშობლიურ პარტიას კომუნისტურ თამასუქს, მობილიზაციას გავუკეთებთ ყველა არსებულ გამოუყენებელ საშუალებებსა და რეზერვებს, პირნათლად შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს, გაწეული ეკონომიით დაფარული იქნება ყოველგვარი ხარჯები და მეოთხე კვარტალში წარმოება იმუშავებს უდოტაციოდ. 1965 წელს ქარხანა მიიღებს რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატს“.

გადაწყვეტილებას განხილულია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

ასე უმჯობესდება მეტალურგიული ქარხნის ეკონომიური მაჩვენებლები





დიაგრამებზე ნაჩვენებია შრომის ნაყოფიერების ზრდა და ხარჯი ერთი მანეთის პროდუქციაზე 1964 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით.

რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიღებულ იქნება ერთი მილიონი მანეთის ეკონომია.

გეგმასთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულ იქნება 100 ათასი მანეთით.

ჩაის ფოთოლს კრეფს „საქართველო“

ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔᲩᲐᲘᲗᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ — ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ მეექვსე წელი საქართველოს მეჩაიეებმა დაიწყეს შესანიშნავი პატრიოტული თოსნობით — გადაწყვიტეს .მიმდინარე წელსვე შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება, რომლის მიხედვით შვიდწლედის დამლევისათვის უნდა მოეკრიფათ და სახელმწიფოსათვის მიეყიდნათ 200.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შვიდწლედის უკანასკნელი წლის ამოცანა — 170.000 ტონა „მწვანე ოქროს“ მოკრეფა, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1962 წელს შესრულდა.

როგორ მიმდინარეობს ბრძოლა იმ ვალდებულების შესასრულებლად, რომ 1964 წელს მრეკრიფოს 200.000 ტონა ჩაის ფოთოლი, როგორია რესპუბლიკის მეჩაიეობის უახლოესი მომავალი? — ასეთი კითხვებით მიმართა საქდესის კორესპონდენტმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ აგრონომს მ. მ. ᲓᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ და გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარეს, პროფესორ Ი. მ. ᲮᲣᲚᲝᲕᲡ.

აი რა უპასუხეს მათ:

მიმდინარე წლის ცივი გაზაფხულის მიუხედავად, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი ახლა შარშანდელზე მაღალია. მეჩაიეთა გმირული მეცადინეობით 20 ივნისისათვის მოკრეფილი იყო 85.725 ტონა ძვირფასი ნედლეული — 6.322 ტონით მეტი, ვიდრე 1963 წლის შესაბამის პერიოდში.

საქართველოს მეჩაიეებში უკანასკნელი წლების მანძილზე დამკვიდრდა კარგი ტრადიცია: „მიგიცია სიტყვა — შეასრულე კიდევაც, გიკისრია ვალდებულება — გაანაღდე!“. როგორც ჩაის პლანტაციებში მუშაობის მსვლელობა გვიჩვენებს, ახლა ექვი აღარ არის, რომ რესპუბლიკის მეჩაიეები წელსაც ერთგულნი დარჩებიან თავიანთი კარგი ტრადიციისა და ერთხელ კიდევ გაახარებენ პარტიას, სამშობლოს, მთელ საბჭოთა ხალხს.

საქართველოში — ჩაის მწარმოებელ ძირითად ბაზაში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ყოველწლიური კრეფის 200.000 ტონამდე გადიდება ვერ წყვეტს იმ პრობლემას, რომ საბჭოთა წარმოების ჩაით დაკმაყოფილთ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება. ეს პრობლემა რომ გადაიჭრას, რომელსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, ჩაის წარმოება კიდევ ერთნახევარჯერ უნდა გაადიდოთ.

რა გზით შეგვიძლია მივაღწიოთ ამ მიზანს? უწინარეს ყოვლისა ჩაის მოყვანის ყველა პროცესის და პირველ რიგში ნედლეულის კრეფის კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით. ეს არის საქართველოს მეჩაიეობის უანლესი მომავალი.

ძნელად თუ იპოვნით სხვა კულტურას, რომელიც ისეთივე მიზეზანი იყოს და ისეთ ღრმა სპეციალურ ცოდნას, უურადღებასა და განსაკუთრებულ შრომას მოითხოვდეს ადამიანისაგან, რამდენსაც ჩაი მოითხოვს. ჩაის ბუჩქს მთელი წლის განმავლობაში უვლიან. რამდენჯერმე შემოიარენან, შემოაყრიან ნაგავს, შეიტანენ სასუქს; მეჩაიეები თვალყურს ადევნებენ, რომ ბუჩქის ანლმოს არ იყოს სარეველა, პლანტაციების ირგვლივ აშენებენ ქარსაცავ ზოლებს, გამოყავთ სადრენაჟო თხრილები, ტორფით მულჩავენ მწკრივთაშორისებს ტენის შესაკავებლად.

მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. ჩაის მკრეფავს მოეთხოვება დიდი ოსტატობა — სწრაფად, შემსვლის კვალობაზე ამოარჩიოს მოსაკრეფად შემოსული ულორტები. ჩაის ბუჩქის ზედაპირის კვადრატულ მეტრზე 4.000 ფოთოლია. მაგრამ უნდა მოიკრიფოს მხოლოდ მეათედი ნაწილი. ჩაის ფოთლის კრეფა ყველაზე შრომატევადი ოპერაციაა. მის წილად მოდის მთელი შრომითი დანახარჯის დაახლოებით 70 პროცენტი. ამავე დროს ჩაის ფოთლის პლანტაციებში ჯერ კიდევ ძირითადად ხელით კრეფენ. მეჩაიის შრომა მძიმეა. შეიძლება ითქვას, არ არის სხვა ისეთი კულტურა, რომლის მოსავლის აღებას სჭირდებოდეს ამდენი შრომა — მთელი სეზონის განმავლობაში, ხოლო სეზონი 5 თვეზე შეტს გრძელდება, მეჩაიემ კალათით უნდა ჩამოუაროს ბუჩქებს და მოკრიფოს ნაზი ფოთოლი. ჩაის მკრეფავს მუშაობა უხდება წელში მოხრილს, ალიონიდან კარგად დაღამებამდე, ყოველგვარ ამინდში — წვიმაში და მცხუნვარე მზის ქვეშ. დილის ცვრის გამო ჩაის მკრეფავს კარგ ამინდშიც კი ტანსაცმელი წელს ქვემოთ მუდამ სველი აქვს. ყოველ კილოგრამ ჩაის ფოთოლში 2000-დან 3000-მდე დუყია. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი მოძრაობა უხდება მკრეფავს, რომ 30-40 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფოს დღეში.

ჩვენი მეჩაიეების ეშმარიტად გმირული რთული შრომა დღემდე არ არის მკაფიოდ ასახული არც ჩვენი მწერლების წიგნებში, არც თეატრების სცენაზე, არც კინოფილმებში და თვით საგაზეთო პუბლიცისტიკაშიც. ჩვენი მეჩაიეები შრომითი გმირობის სასწაულებს ახდენენ და, მიუხედავად ამისა, ტატიანა ჩხაიძის, თამარ ყუფუნიას, დალი წიგნრავაძისა და ფატი წითელაძის, ალექსანდრა ვოუბასა და ტატიანა ცინცაძის პროტოტიპებს ვერ ვხედავთ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში. ჩვენმა მწერლებმა და ჟურნალისტებმა უნდა მოიხადონ თავიანთი ვალი — გვიჩვენონ მეჩაიეთა შრომითი საგმირო საქმეები.

ჩვენი მეჩაიეების დიდი ხნის ოცნება იყო ჩაის მოსავლის კრეფის მექანიზაცია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ დაუცხრომლად ზრუნავენ იმისათვის, რომ შეუმსუბუქონ შრომა ადამიანს. ბევრი მეცადინეობა დასჭირდა ისეთი მანქანის შექმნას, რომელიც შეცვლიდა ადამიანს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოყვანის მექანიზაციის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო. ამ ბიუროს შექმნის შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ რადგან ჩაის საკრეფი მანქანების შექმნაზე კონსტრუქტორები და გამომგონებლები ერთმანეთისაგან გათიშულად მუშაობდნენ, ჩაის საკრეფი მანქანების პირველი ნიმუშების შექმნა ძალზე გაჭიანურდა.

მხოლოდ იმ ენერგიული ღონისძიებების შედეგად, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განახორციელეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის მანძილზე, აღმოიფხვრა მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან მეჩაიეობის მექანიზაციის მანქანათა კომპლექსის შექმნას და უკვე ამის შემდეგ ჩვენმა მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა, რომელსაც ეწოდა „საქართველო“. ეს მანქანა პლანტაციებში პირველად გამოჩნდა 1962 წელს და მაშინვე არც თუ ცუდი შედეგები მივიღეთ. გამოირკვა, რომ მანქანა გამოსადეგია საექსპლოატაციოდ და უკვე 1963 წელს წარმატებით მუშაობდა 100 ჩაის საკრეფი მანქანა, ხოლო ძმიდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში ჩაის კრეფს უკვე 200 მანქანა. მანქანური კრეფის ეფექტიანობა წლითიწლობით განუწყვეტლივ იზრდება.

საუკუნეობით ოცნებობდნენ ადამიანები ჩაის ფოთლის მკრეფავთა მძიმე და რთული შრომის შემსუბუქებაზე. ახლა ეს ოცნება ახდა. ჩაის მანქანური კრეფის ძნელი პრობლემა გადაჭრეს საბჭოთა საქართველოს — მსოფლიოს მეჩაიეობის ყველაზე ახალგაზრდა კვეყნის კონსტრუქტორებმა. ამით, ისევე როგორც ჩაის მოყვანის აგროტექნიკის მაღალი დონით და ჩაის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიით, ერთხელ კიდევ გამოვლინდა სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

ცნობილია, რომ ამხანაგმა ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში მაღალი შეფასება მისცა ქართული ჩაის როგორც მოყვანის აგროტექნიკას, ისე წარმოებასაც.

„ᲩᲐᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲦᲐᲠᲛᲝᲕᲔᲑᲓᲔ, — თქვა მაშინ ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲐᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ... ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲗ ᲕᲗᲚᲘᲗ.

მიღწეულია ასეთი კულტურა ყველა იმ კვეყანაში როდია, რომელსაც ᲩᲐᲘ ᲛᲝᲬᲘᲗᲐᲕᲡ. თქვენს რესპუბლიკაში უკვე დიდი ხანია ᲩᲐᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲩᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲔᲑᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲝᲔᲡᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲗᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲩᲐᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“.

ძნელია წარმოიდგინო სხვა ისეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რომელიც შეიძლება იყოს ესოდენ რთული, როგორიც ჩაის საკრეფი მანქანაა. ჩაის პლანტაციები როდია ხორბლის თანაბარი ყანა, სადაც კომბაინი სწრაფ ღერეგს ჭრის. ჩაის ბუჩქების პირველი შეხედვით ერთგვაროვანი ყლორტების ვეებერთელა მასაში მანქანამ უნდა დაინახოს და მოწყვიტოს მხოლოდ ნაზი, შემოსული ფოთოლი, არამც და არამც არ მოწყვიტოს ჯერ კიდევ დაუწყოფელი ან უხეში ფოთოლი. მანქანა შერჩევით კრეფას უნდა აწარმოებდეს. საბჭოთა კონსტრუქტორებმა გადაწყვიტეს თითქოდა დაუძლეველი ამოცანა. მანქანა, რომელიც მათ შექმნეს, არჩევს რომელი ფოთოლი მოწყვიტოს და რომელი დატოვოს. ჩაის საკრეფი მანქანა, რომელზეც ორი კაცი მუშაობს, 30-40 მკრეფავის სამუშაოს ასრულებს.

აი რატომ არის, რომ მეჩაიეები გულთბილად იხსენიებენ მანქანა „საქართველოს“. ისინი მხურვალე მადლობას უძღვნიან ამ მანქანის შემქმნელთ, აცხადებენ: „ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡ!“

მაგრამ ერთბაშად როდი მოიპოვეს წარმატება ჩაის საკრეფი მანქანის კონსტრუქტორებმა. სანამ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები გამოუშვებდნენ ახალი მანქანის სერიას, ამ მანქანამ ხანგრძლივი და ყოველმხრივი შემოწმება გაიარა. დიდხანს და საფუძვლიანად სწავლობდნენ კონსტრუქტორები ჩაის დუყების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს, რათა მანქანის ელასტიკური რეზინის თითებისათვის მიეცათ საჭირო მოქნილობა. პლანტაციების მოვლისა და ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის-მანქანათა შექმნის დაჩქარებისა და სრულყოფისათვის, აგრეთვე მანქანებით მოკრეფილი ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიის დასაზუსტებლად 1962 წლის მარტიდან ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა გაერთიანდა ინგირის ჩაის ფაბრიკასთან და ამ საწარმოთა ბაზაზე შეიქმნა ინგირის ჩაის საცდელი საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკა.

გარდა ინგირის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკისა, ჩაის საკრეფი მანქანები მუშაობდა გასულ წელს კიდევ სამ კოლმეურნეობასა და ამდენსავე საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ჩაის კრეფა წარმოებდა 618 ჰექტარზე. შემოწმების საფუძველზე გადაწყდა 1964 წელს გამოვუშვათ 300 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ (აქედან მიმდინარე წლის სეზონისათვის 100 ცალი), ხოლო 1965 წელს — 500 მანქანა. ჩაის საკრეფი მანქანების მუშაობისათვის 1964 და 1965 წლებში უნდა გამოიყოს და მომზადდეს 10.400 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ამ პროგრამის შესრულების ანგარიშში უკვე გამოშვებულია 100 „საქართველო“ და მომზადებულია დაახლოებით 3.000 ჰექტარი პლანტაცია. ამრიგად, მომდინარე წელს 200 ჩაის საკრეფი მანქანა მუშაობს 58 მეურნეობაში 1.761 ჰექტარ პლანტაციაში, რის შედეგად თავისუფლდება ათასობით კაცის შრომა.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველა ეს მანქანა წარმატებით მუშაობს. ინგირის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის პლანტაციებში 32 მანქანა მუშაობს. თვითეული მათგანი ჩაის ფოთოლს კრეფს 11 ჰექტარზე. საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის დირექციის მონაცემებით, ამ მანქანებით 12 ივნისისათვის უკვე მოკრეფილია 358 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, აქედან 334,6 ტონა, ანუ 93,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ეს ხარისხობრივი მაჩვენებელი გაცილებით მაღალია შარშანდელთან შედარებით. თვითეული მანქანის წარმადობა მიმდინარე წელს ბევრად აღემატება შარშანდელს. თუ შარშან მანქანის დღიური გამომუშავება — 2.000 კილოგრამი რეკორდულად ითვლებოდა, წელს იგი გახდა თითქმის საშუალო, ხოლო ცალკეული მანქანებით მეტიც იკრიფება. მაგალითად, კომპლექსური მექანიზაციის მეექვსე რგოლის ხელმძღვანელმა მექანიზატორმა კ. სიჭინავამ 3 ივნისს მოკრიფა 3.340 კილოგრამი, ხოლო მექანიზატორმა ი. ფარცვანიამ — 3.685 კილოგრამი. ასეთი რაოდენობის ჩაის ფოთლის ხელით კრეფისათვის საჭირო იქნებოდა 83-91 მკრეფავი. ასეთსავე მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ მექანიზატორები ლიდა არღვლიანი და კლარა დავითაია.

შრომის ნაყოფიერების ესოდენ მნიშვნელოვან ზრდაზე გავლენა მოახდინა მანქანის ხარისხის გაუმჯობესებამ და მექანიზატორთა კვალიფიკაციის ამაღლებამ, შრომის შეიდგენით მატერიალური დაინტერესების ზრდამ.

ჩაის საკრეფ მანქანასთან ერთად შეიქმნა აგრეთვე ჩაის ბუჩქების გასხვლა-ფორმირების, ფუმიგაციის, სასუქების შეტანის, მწკრივთაშორისების დამუშავების ახალი მანქანები და სხვ.

ჩაის მანქანების შექმნის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საპრობლემო ლაბორატორიის (ხელმძღვანელი — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი შ. ᲘᲘ. ᲙᲘᲠᲘᲡᲚᲘᲫᲔ) კოლექტივებს. კონსტრუქტორი კირესლიძე დაუცხრომლად მუშაობს ჩაის საკრეფი მანქანის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის.

ჩაის საკრეფი მანქანის ბოლოდან საქმეში დიდი ფიქრი ეზარა ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲛᲐ მანქანათსაცდელმა სადგურმა. ჩაის საკრეფი მანქანებისა და ჩაის მოყვანის სხვა ტექნიკის საწარმოო გამოცდის წარმატებებს ბევრად შეუწყვეს ხელი ნოსალიან ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა. უნდა აღინიშნოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსაშენებლო ქარხნების — „საქსოფლმანქანისა“ და „რიონის“ კოლექტივების ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობა.

ის, რაც მიღწეულია ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და კრეფის კომპლექსური მექანიზაციის საქმეში, მხოლოდ პირველი ეფექტიანი ნაბიჯია. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა „მაქსიმალურად გავფართოოთ ჩაის პლანტაციების კომპლექსური მექანიზაცია, დავნერგოთ იგი უველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ამიტომ საწარმოო-სამმართველოებმა, ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უფრო ორგანიზებულად, ფართოდ უნდა დანერგონ 1965 წელს ჩაის საკრეფი ტექნიკა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად წელს მექანიზებული წესით უნდა მოიკრიფოს 7.400 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ცნობილია, რომ მუშახელის ნაკლებობას უწინარეს ყოველისა განიცდიდან ჩაის საბჭოთა მეურნეობები, სადაც ვერ ასწრებენ დროულად მოკრიფონ ჩაი და აქვთ დანაკარგები. ამიტომ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა მეურნეობებში უნდა გამოვყოთ პლანტაციები, რომლებზეც შანქანებით მოკრეფენ ჩაის. ამ ფართობების გამოყოფას ახლავე უნდა შევუდგეთ. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალშივე უნდა მოვამზადოთ მანქანური კრეფისათვის, ისე რომ ეს საკვლევით შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ინსტრუქციას.

იმაზე, თუ რამდენად ხარისხიანად მოამზადებენ პლანტაციებს მანქანური კრეფისათვის, ბევრად არის დამოკიდებული ჩაის საკრეფი მანქანების მუშაობის შემდგომი წარმატება. საკირო მოვახდინოთ პლანტაციების რეკონსტრუქცია ისე, რომ შეეკმნათ დიდი მასივები, ავაგოთ ხიდები, მოვამზადოთ შემოსაბრუნი ფართობები და, რაც მთავარია, წესიერად და დროულად მოვაწყოთ შპალერების გასხვლა-ფორმირება.

ჩაის ახალი საბჭოთა მეურნეობანი უნდა გავაშენოთ იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოთ სრული კომპლექსური მექანიზაცია. სწორედ ასე იგეგმება აფხაზეთში ხუმუშქურის, ᲪᲔᲠᲙᲣᲚᲘᲡ ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ფართობები.

რაც შეეხება ამჟამად არსებულ ჩაის საბჭოთა მეურნეობებს, აქ ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის დონე უნდა შეადგენდეს სულ ცოტა 50 პროცენტს.

როგორც ყოველ საქმეში, ჩაის კულტურის მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კადრების მომზადებას. ჩაის საკრეფ მანქანებზე უნდა მუშაობდნენ მაღალი კვალიფიკაციის ტრაქტორისტები. ამიტომ საჭიროა ხელახლა მოვამზადოთ ამჟამად არსებული კადრები. ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ და სხვა ჩაის მანქანები ორ ცვლად უნდა ვამუშაოთ. ამოცანა ის არის, რომ 1965 წელს გვაკვდეს სულ ცოტა 1.200 ტრაქტორისტი-მემანქანე, რადგან მომავალ წელს ჩაის კრეფისათვის გამოყენებული იქნება 600 მანქანა „საქართველო“. გარდა ამისა, საჭიროა საკმაო რაოდენობით მოვამზადოთ ტრაქტორისტი-მემანქანეები სხვა ჩაის მანქანებზე მუშაობისათვის.

ჩაის მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის რგოლებისა და ბრიგადების მუშაობას უნდა ხელმძღვანელობდნენ ტექნიკოს-მექანიზატორები და ინჟინერ-მექანიზატორები. მაგრამ ასეთი კადრები ძალიან ცოტა გვყავს. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში უნდა მოვაწყოთ მექანიზაციის ფაკულტეტები, ხოლო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსა და საქართველოს სუბტროპიკულ ინსტიტუტში უნდა გავზარდოთ იმ სტუდენტთა კონტინგენტი, რომლებიც მექანიზაციის ფაკულტეტებზე შედიან.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მთელი რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ხშირად მოცდენილია მანქანები „საქართველო“, რადგან არ არის მოწესრიგებული მათი ტექნიკური მომსახურება. „საქსოფლტექნიკის“ რაიონულმა გაერთიანებებმა და განყოფილებებმა უნდა შექმნან მოწინავე ავტოსახელოსნოებითა და სხვა მოწყობილობით აღჭურვილი ჩაის მანქანების ტექნიკური მომსახურების სადგურები. ასეთი სადგურების შექმნის შედეგად ხელშეკრულებათა საფუძველზე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოწესრიგდება ჩაის მოყვანის ტექნიკის კომპლექსური მომსახურება.

ამ ტექნიკის ხარისხიანი რემონტის უზრუნველსაყოფად დღემდე არ არის შექმნილი შესაბამისი სარემონტო ბაზა. გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ უახლოეს ხანში (1965 წლის ბოლომდე) განზრახული აქვს ჩაის საკრეფი მანქანების რემონტი მოაწყოს ინდუსტრიული მეთოდით. ამისათვის სარემონტო ბაზები შეიქმნება მახარაძის, ზუგდიდის რაიონებსა და აფხაზეთში.

ჩაის საკრეფი მანქანების შეუფერხებელი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად არიან უზრუნველყოფილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სათადარიგო ნაწილებით. „საქართველოს“ მარკის მანქანები უკვე მეორე წელია მუშაობენ ჩაის პლანტაციებში. საჭიროა შეძენილი გამოცდილების საფუძველზე შევადგინოთ სათადარიგო ნაწილების ნომენკლატურა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხანას დავავალოთ ყოველწლიურად საჭირო რაოდენობით დაამზადოს ასეთი სათადარიგო ნაწილები.

წარმოებაში ყველა დანერგილი მანქანის კონსტრუქცია, როგორც წესი, მუდამ უმჯობესდება. ჯერ ისტორიას არ ახსოვს, რომ ესა თუ ის მანქანა არ უმჯობესდებოდეს. ჩვენმა კონსტრუქტორებმა, მეცნიერმა მუშაკებმა, წარმოების მუშაკებმა სისტემატურად უნდა აუმჯობესონ და სრულყონ ჩაის საკრეფი მანქანებისა და სხვა ტექნიკის კონსტრუქციები.

ჩვენში, სამწუხაროდ, ყველას როდი ესმის, თუ რა გადატრიალება მოახდინა ჩაის მეურნეობაში ჩაის საკრეფი მანქანების დანერგვამ. ზოგი მანქანების მეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს, ქედმაღლურად აღნიშნავენ ცალკეულ ნაკლოვანებებს, რაც იმით გამოიხატება, რომ მანქანურ კრეფას ზოგჯერ მოსდევს პროდუქციის ერთგვარი დანაკარგი და ხარისხის გაუარესება. ამ პირო რატომღაც ავიწყდებათ, რომ ასეთი ნაკლოვანებანი არის ხოლმე ჩაის ფოთლის ხელით კრეფის დროსაც.

ჩაის საკრეფი მანქანების ეფექტიანი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული ჩაის ბუჩქის გასხვლა-ფორმირების ხარისხზე. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲐᲓ გასხვლა-ფორმირებას ახორციელებს „ᲢᲐ-16 ᲛᲠ“ მოდერნიზებული შასი. ამ შასით და სხვა ტექნიკით, რაც აუცილებელია მანქანური კრეფისათვის პლანტაციების მოსამზადებლად, სავსებით უნდა უზრუნველყოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

საწარმოო სამმართველოების, ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების კოლექტივების ღირსების საქმეა ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ჩაის მეურნეობებს უფრო ფართოდ დანერგონ და მაქსიმალურად გამოიყენონ ჩაის საკრეფი მანქანები და სხვა ტექნიკა.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სახელოვანი კონსტრუქტორები სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკებთან ერთად გაახარებენ სამშობლოს ჩაის პლანტაციებსა და მთის პირობებში მუშაობისათვის უფრო სრულყოფილი მანქანების შექმნით და ამით დაეხმარებიან რესპუბლიკის მეჩაიეებს უფრო მალე გადაწყვიტონ საბჭოური წარმოების ჩაით საბჭოთა კავშირის უზრუნველყოფის ამოცანა.



სურათზე: ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის პლანტაციებში ჩაის ფოთოლს კრეფს მანქანა „საქართველო“.

ფოტო გ. კოკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მშვიდობის ვიზიტი

უცხოეთის პრესის გამოხმაურება საქართველოში Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ მოგზაურობის გამო

სტოკჰოლმი. შვეციის დედაქალაქის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ვიზიტს შვეციაში. „სტოკჰოლმს-ტიდნინგენი“ აქვეყნებს Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ მისასალმებელ დეპეშას გაზეთის მკითხველებისადმი, რომელიც მან თბომავალ „ᲑᲐᲙᲐᲠᲘᲢᲝᲜᲓᲐᲜ“ გამოგზავნა. იბეჭდება აგრეთვე ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილია დანიიდან Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ გამომგზავრების მომენტები.

საბჭოთა კავშირისადმი, Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეობისადმი მიძღვნილი შინაარსიანი და მრავალფეროვანი მასალა გამოაქვეყნა „ნიუ დაგმა“.

□ **ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ.** დანიის გაზეთები დაწვრილებით მასალს აქვეყნებენ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ შვეციაში გამგზავრების შესახებ. გაზეთი „ᲙᲠᲘᲡᲢᲔᲚᲘᲜᲒᲔ ᲓᲐᲒᲑᲚᲐᲓᲘ“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ვიზიტს დანიაში დიდი მნიშვნელობა ᲐᲥᲜᲘᲡ. რამდენადაც მშვიდობის ბედი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებენ თუ არა სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი სისტემები მშვიდობიანად იცხოვრონ, ძლიერ სასიხარულოა ის, რომ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ — ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲑᲐᲠᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ — ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲑᲐᲠᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲐᲘ ᲠᲐ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲣᲚᲘ ᲛᲐᲗ:

მომდინარე წლის ცივი გაზაფხულის მიუხედავად, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი ახლა შარშანდელზე მაღალია. მეჩაიეთა გმირული მეცადინეობით 20 ივნისისათვის მოკრეფილი იყო 85.725 ტონა ძვირფასი ნედლეული — 6.322 ტონით მეტი, ვიდრე 1963 წლის შესაბამის პერიოდში.

საქართველოს მეჩაიეებში უკანასკნელი წლების მანძილზე დამკვიდრდა კარგი ტრადიცია: „მიგიცია სიტყვა — შეასრულე კიდევაც, გიკისრია ვალდებულება — გაანაღდე!“. როგორც ჩაის პლანტაციებში მუშაობის მსვლელობა გვიჩვენებს, ახლა ექვი აღარ არის, რომ რესპუბლიკის მეჩაიეები წელსაც ერთგულნი დარჩებიან თავიანთი კარგი ტრადიციისა და ერთხელ კიდევ გაახარებენ პარტიას, სამშობლოს, მთელ საბჭოთა ხალხს.

საქართველოში — ჩაის მწარმოებელ ძირითად ბაზაში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ყოველწლიური კრეფის 200.000 ტონამდე გადიდება ვერ წყვეტს იმ პრობლემას, რომ საბჭოთა წარმ

მოჩვენებათა ტყვეობაში

ბ. იბსენის „მოჩვენებანი“ — მოსკოვის მცირე თეატრის სპექტაკლი

...ადამიანის სულის შემძვრელი მოჩვენებანი დაძრწიან ალვინგის ოჯახში. რაღაც შორეული, მძიმე და განუკურნავი წარსულის აჩრდილი დასტრიალებს მას. ყველაფერს ბინდი გადაჰკვრია, ყველაფერი ფარისევლობის საბურველშია გახვეული. „ჩემ თითქმის მჯერა, რომ ჩვენც ყველანი მოჩვენებანი ვართ, მოძღვარო მანდერეს“ — მიმართავს ფრუ ალვინგი მოძღვარს და მის ხმაში უკვე იგრძნობა პროტესტი მაღალი ზნეობიერი იდეალების დასაცავად. „ჩვენში თავს იჩენს არა მარტო ის, რაც მემკვიდრეობით გადმოგვეცა დედ-მამისაგან. არსებობენ აგრეთვე ძველი, დროდადროს ცნებები, მკვდარი რწმენები და მათი მსგავსი ამბები. ისინი აღარ ცოცხლობენ ჩვენს არსებაში, მაგრამ მტკიცედ ჩამჯდარან მასში და ჩვენ უძლურნი ვართ გადავაგდოთ ეს დახავსებული მოჩვენებები...“ ეს რთული და ღრმა პრობლემები აწუხებს ფრუ ალვინგს, მათ გარკვევას ესწრაფვის, მაგრამ სად არის ის გზა, რომელიც სინათლესავით წარუღვება მის ოჯახს და გაათავისუფლებს მას კოშმარული მოჩვენებებისაგან? სად უნდა ეძიოს სიმართლე, სად უხდა ჰპოვოს იგი?

„თვალთმაქცობისა და სიცრუის მორევში“ მოექცენენ პიესის გმირები, საკმაოდ შეიცნეს იგი და ახლა სულიერად განწმენდილნი მიილტვიან მზისკენ. მათ სურთ როგორმე მიუახლოვდნენ ღრმად ადამიანური ოჯახური ცხოვრების იდეალს, გაიქცნენ საკუთარ სულში შექმნილი უდაბნოდან. ამიტომ ისმის ასე მძლავრად უკანასკნელი სიტყვები ოსვალდისა „მზეკენ... მზე...“

მზის მოტრფიალე ოსვალდის (ე. მატვეევი) სულში ბედისწერასავით ჩამდგარა რაღაც უხილავი ძალა, რომელმაც სწორედ ახლა იჩინა თავი. ჰამლეტური ძალა ვაჟკაცურად ერკინება იმ უხილავს და ეს შინაგანი ბრძოლა ტრაგიკულ პათოსამდე აღწევს. ოსვალდი გრძნობს, რომ მხოლოდ სიყვარულს თუ შეუძლია იხსნას იგი. მხოლოდ ამ მაღალსა და კეთილშობილ გრძნობას ენდობა მისი გული. და აი თითქოს იპოვა კიდეც ჯადოსნური წრიდან გამოსავალი, მაგრამ აქაც ომარჯვა წარსულის სიბნელემ. მისი რჩეული რეგინა მისივე და ალმოჩნდა. დაიმსხვრა ილუზია, საშინელმა სინამდვილემ განდევნა იგი. გადაუჭრელი დარჩა ტრაგიკული წინააღმდეგობანი, ოსვალდი დაეცა.

და აი სწორედ აქ, როცა გგონიათ, რომ თითქოს ყველაფერი დამთავრდა, ჩვენს წინ იშლება დრამატულად მძაფრი, პოეტური სურათი: ოსვალდი ზის სავარძელში. ფართოდ გახელილი თვალებით იხედება შორს, უსაზღვრო სივრცეში, იგი ხედავს მზის ამოსვლას, ხედავს — ყინულოვანი მთები და მწვეტვალები, როგორ გასხივოსნდნენ დილის მზის ნათელი შუქით. მის ავადმყოფურ სულს სწადია გაფრენა: უნდა, რომ სავსებით შეუერთდეს მზის სამყაროს, აღიდგინოს დაკარგული ჰარმონია. ეს არის ყველაზე პოეტური და სიმბოლური სურათი მთელ სპექტაკლში და, რა თქმა უნდა, მეტად ძნელი იყო მსახიობ ე. მატვეევის მდგომარეობა.

როლის ხასიათი მისგან მოითხოვდა ბევრ განსაკუთრებულ თვისებას. უპირველესად კი პოეტურ ამაღლებულობასა, სიმბოლური აზრის მკაფიო სცენურ ფორმებში გამოხატვის ნიჭს. როცა პიესას კითხულობთ და ეცნობით ოსვალდის სიტყვებს, უნებლიეთ გაგონდებათ ჰამლეტი. მათ შორის არის საერთო და, შესაძლოა, არც თუ ისე უმნიშვნელო. ე. მატვეევი ცდილობს ბოლომდე შეიცნოს თავისი გმირის რთული ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური სამყარო. მოძებნოს სწორი გზები და საშუალებები, რათა სავსებით დაეუფლოს მხატვრული სახის იმ ღრმა შინაგან ცხოვრებას, რომელიც ასე მძლავრად გამოხატა მწერალმა.

უყურებთ სპექტაკლს, და გიხარიათ მსახიობის ეს ძლიერი მიზანსწრაფვა, მაგრამ ამასთანავე იმასაც გრძნობთ, რომ აქტიორულად გაუხსნელი დარჩა ოსვალდის სცენური ცხოვრების არა ერთი მომენტი. ზოგჯერ ისეც გეჩვენებათ, რომ თითქოს ოსვალდის ლირიკული განცდები რაღაც მონოტონურია და ალაგ-ალაგ მეტისმეტად მთელმარე. მაგრამ მსახიობი არ ერიდება რთულ წიაღსვლებს. იგი გაბეჯულად ეძებს თავისი გმირის ფარული (I მოქ.) ტკივილების გამომხატველ სცენურ ფორმებს. ამიტომ ზოგჯერ დიდხანს ტოვებს ერთხელ მოპოვებული ლირიკული განწყობილების ტონს, გვიან ახდენს მის შეხაკვლას ახალი სიტუაციის შესაბამისი რიტმით.

„მოჩვენებანი“ უმთავრესად მაინც ფრუ ალვინგის ტრაგედიაა, მისი სანინელი და ამაღელვებელი ცხოვრების დრამატული სურათების ასახვაა. ამ დიდი ძალის ხასიათს ღრმა განცდის სცენის ოსტატიც შეხვდა. ე. გოგოლევამ ჭეშმარიტად არტისტული ტალანტით გამოხატა თავისი გმირის სულიერი წამების მთელი გზა, კვინენი მისი შინაგანი განცდები ილუზიას ქმნიდა, როცა შეილისა და საზოგადოების წინაშე იძულებით ფარისევლობდა, ცრუობდა და ასევე თანმიმდევრული დარჩა მაშინაც, როცა სიმართლის ძიება დაიწყო და ვიქაკაცურად შეებრძოლა ძველს, ვითომდა ლამაზ, მაგრამ „მოჩვენებით სინამდვილეს“.

ე. გოგოლევა-ალვინგის ცხოვრების გზა დაჰაჯერებელი სიცხადით ამხილება უზნეო ყოფის მთელ საშინელებას. და ეს არის ამხედრება არა ერთი რომელიმე ადამიანის, არამედ მთელი იმგვარი საზოგადოების წინააღმდეგ. თეატრმა შეძლო ამ იდეური, მაღალმორალური ტენდენციის გამოსახვა. იგი გამოვლინდა უპირველესად სწორედ ე. გოგოლევას შესრულებაში. შესაძლოა ზოგი რამ სადაოდ იყოს ფრუ ალვინგის სცენურ წარმოსახვაში, მისი შინაგანი განცდის გამოხატვის მანერაში, მაგრამ მთავარი ეს როდია. ე. გოგოლევა დიდი აქტიორული შესაძლებლობის შემოქმედია და ასეთად ვიხილეთ იბსენის პიესაშიც.

იბსენს ბევრი მოქმედი გმირი არ დაუსვია ბევრია, თავისი სათქმელი რომ ეთქვა. ამისათვის ხუთი მოქმედი პირიც ეყო. ამ ადამიანებში მოაქცია მან თავისი დიდი მოქალაქეობრივი იდეალები, მაღალი ჰუმანური ინტერესები. და ეს ყველაფერი

გამოხატა მხატვრული სისავსით, დრამატურგიული ოსტატობით.

პიესისა და სპექტაკლის ექსპოზიცია ძალიან ნელია. რეჟისორი (ვ. ციგანკოვი) სწორად მოქცეულა, როცა მოხტაკის დროს ექსპოზიცია შეუმცირებია და უფრო ქმედითი გაუხდია, რითაც იგი უფრო მეტად დაუახლოვდა ძირითად თემას, მის სიუჟეტურ ხაზს. რეჟისორული მიზანსცენები ისე სადაა, როგორც თვით პიესის კომპოზიციური წყობა. იქნებ იყო კიდეც საჭირო მეტი სიმახვილე და „თეატრალობა“, მეტი სახალი რეჟისორულ გადაწყვეტაში და სიღრმე ფორმის სფეროში, მაგრამ სპექტაკლის ჩანაფიქრსა და გააზრებასაც აქვს თავისი გარკვეული ლოგიკა.

რეჟისორი ცდილობს ბოლომდე ერთგული დარჩეს სადა, უპრეტენზიო, ცხოვრებისეული სიმარტივით მდიდარი სტილისა. იგი შეგნებულად გაურბის რთულ მიზანსცენებს, ხაზგასმულ ფორმებს, ცდილობს, რომ ყველაფერი იყოს მკაცრი და ზომიერი, მაყურებელს არ აწუხებდეს, არ ღლიდეს შესაძლოა თავისთავად ლამაზი, ეფექტური, მაგრამ სპექტაკლისათვის უსარგებლო დეტალი. რეჟისორი ზედმიწევნით ენდობა მსახიობს, მის ნიჭს, ოსტატობას, სამთავრლის განცდის ძალას. ასე, ამ ჩანაფიქრით წარმოგვიდგენს იგი სპექტაკლს. მის პრინციპს იცავენ მსახიობებიც. ასეთია ე. გოგოლევა და ე. მატვეევი, ვ. შარლახოვი (დურგალი), ს. ეგუნი (რეგინა), ე. ელიხოვი (ძოძღვარი).

მოჩვენებების რთულ კონფლიქტშია მოქცეული მოძღვარი მანდერსი. იგი სულიერად თითქოს უფრო დამშვიდებულია და ნაკლებ მორალურ პასუხისმგებლობასაც გრძნობს, მაგრამ მოძღვარსაც შეეხო მძაფრი სულიერი კატასტროფა, რომელიც ალვინგის ოჯახში დატრიალდა. ელიხოვის მოძღვარი დიდი ზნეობრივი იდეალების მქადაგებელი იყო და ამიტომ გულმოდგინედ ცდილობდა რაც შეიძლება უფრო სქელ საბურველში გაეხვია ალვინგის ოჯახი, ისე შეენიღბა, რომ ვერავის თვალს ვერ შეეღწია შიგ. მაგრამ ამაოდ. ყალბი მოჩვენებანი გაქრნენ, მწარე სინამდვილემ განდევნა იგი. და რა სიმბოლურად ეღერს მოძღვრის გაქცევაც ამ სახლიდან. „ღმერთმა იცოდოს, რომ წესიერებისა და კანონიერების სული მალე აღდგეს ამ სავანეში“ — ამგვარი იმედით მიდის იგი. სპექტაკლი მთავრდება, და ჩვენ გვკერა, რომ ალვინგების ჰერმეტიკულ მოჩვენებები აღარ იქნებიან.

მოძღვრის როლის შემსრულებელი ე. ელიხოვი თანმიმდევრულად იცავს იბსენის გმირის ხასიათს, ცდილობს დაიცვას სიზუსტე ტექსტისა, არსად არ გადასცდეს, არსად არ გადაუხვიოს იმას, რასაც იბსენი სთავაზობს. ეს კარგია, მაგრამ რაოდენ სასიხარულო იქნებოდა, რომ მსახიობი ზოგჯერ ემპირიულად არ მისდევდეს როლს. ცალკეულ შემთხვევებში ჩვენ გვესმის მწერლის მშვენიერი სიტყვა, გვესმის ტექსტი ისე, როგორც ის არის, მაგრამ მას აკლია ფრაზის „თეატრალური განფენილობა“. ე. ელიხოვი მშვენიერი იყო II მოქმედებაში.

ბევრი თბილი სიტყვის თქმა შეიძლება რეგინას როლის შემსრულებელზეც (ს. ეგუნი), განსაკუთრებით კარგი იყო იგი მესამე მოქმედებაში. რამდენადმე სადავოდ მიგვაჩნია ვ. შარლახოვის მიერ განსახიერებული დურგალი.

მთავრდება სპექტაკლი. ისმის ფრუ ალვინგის შემაძრწუნებელი სიტყვები, მისი შეშფოთებული ხმა: „ოსვალდ... ოსვალდ... შვილო ჩემო!..“ ამ განწირულ, მიწიერი ტკივილითა და ცხოვრებისეული, ღრმა ადამიანური განცდებით სავსე ხმას უერთდება რაღაც შორეული, თითქოს მზისკენ გაფრენილი სულის მშვიდი და პოეტური ვედრება: „დედა, მოძეცი მზე!“ ასე შესძახა იბსენის ბრანდამაც: „ომეეი შეენ!“. ჰუმანიზმის, სიკეთისა და სინათლის მაღალი ზნეობრივი იდეალებისადმი ერთგულებას ქადაგებს მცირე თეატრის ეს სპექტაკლი.

ვასო გოძიაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.
ვასილ კიკნაძე,
თეატრმცოდნე.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან — „მოჩვენებანი“. ფრუ ალვინგი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ე. გოგოლევა, ოსვალდი — რსფსრ სახალხო არტისტი ე. მატვეევი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ო. კ. მამალაძე

გარდაიცვალა სკენ წელიწადი 1944 წლიდან, პერსონალური პენსიონერი, ონიფანტე კირილეს ძე მამალაძე.

ო. მამალაძე დაიბადა 1889 წელს ჩოიატაურის რაიონის სოფელ ხევში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1901-დან 1921 წლამდე იყო მიწის მუშა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921-1925 წლებში მუშაობდა ხევის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 1929 წლიდან — ხევის საწარმოო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ. იგი თავის სოფელში საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორია.

1942-1945 წლებში ო. მამალაძე თავმჯდომარეობდა ხევის კოლმეურნეობას. შემდგომ წლებში არჩეული იყო ამავე კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნად. იგი დაჯილდოებული იყო ორი მედლით.

ო. მამალაძის ხსოვნა, როგორც უმწიკვლო ბოლშევიკისა, დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წყალტუბოს საქალაქო საბჭოს გამოეყო ლაჯანურის ცენტრალური მუშათა დასახლება და მიეკუთვნა ცაგერის რაიონს.

• მატჩები • ტურნირები

ახალი ჩემპიონები

ტოკიოს ოლიმპიური ტურნირის წინ საქართველოს მოჭიდავეთა გამოსვლები საკავშირო სარბიელზე საამაყოა. რვა წონითი კატეგორიიდან ოთხი ოქროს მედლის მოპოვება ჩვენი რესპუბლიკის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნამდვილი ტრიუმფია.

და აი ტალინიდან კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა: სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადის ჩემპიონმა, თბილისელმა რ. რურუამ (ქვემსუბუქი წონა) კლასიკურ მოჭიდავეთა საკავშირო პირველობაზე ოქროს მედალი მოიპოვა. ფინალში მან წმინდად მოუგო ბაქოელ აგამოვს.

უმჩატეს. ქვესუბუქლო და ქვემძიმე წონაში ჩემპიონები გახდნენ ი. კოჩერგინი, ა. კოლესოვი და ვ. ანისიმოვი.

სურათზე: რ. რურუა.

დარჩა ვარშავა

ევროპის თასი გათამაშდა, მაგრამ ახლა საბჭოთა ფეხბურთელებს სეიროზული გამოცდა მოელით. კვირას, 28 ივნისს, ვარშავის სტადიონზე სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდი მესამე და გადამწყვეტ მატჩს მოაწყობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას გაუგზავნა ამ შეხვედრის მონაწილეთა სია. სიაში არიან: **მეკარეები** — ვ. ლიასიენი და ა. გლუხოტკო; **მცველები** — ვ. პონომარიოვი, ა. შესტერნევი, ა. კრუტიკოვი, ე. მუდრიკი, ვ. დიკარევი, ა. კორნეევი და მ. ხუროცლავა; **ნახევარმცველები** — ვ. მასლოვი, ა. ბიბა და გ. ლოგოფეტი; **თავდამსხმელები** — ო. ბაზილევიჩი, ვ. სერებრიანიკოვი, გ. მატვეევი, გ. კრასნიცკი, ბ. კაზაკოვი, ო. სეროგეევი, ვ. ფადეევი და ო. სევიდოვი.

ოთხშაბათს ჩვენი ოლიმპიელები მინსკიდან ვარშავაში გაემგზავრებიან, ცოტა მოგვიანებით მათ შეუერთდებიან შესტერნევი, მუდრიკი და კორნეევი, რომლებიც 24 ივნისს ბრუნდებიან მადრიდიდან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა არ შეცვლილა, თექვსმეტივე გერმანელი ფეხბურთელი, რომლებიც მოსკოვში იყვნენ მერრე შესარჩევ მატჩზე, ვარშავაში ჩავა. (საკდესი).

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ

დაშქესანი. (აზერბაიჯანის სსრ), 20 ივნისი. (საკდესის კორ.). დაშქესნის სამთო - გამამდიდრებელი კომბინატის გვირაბგამყვანთა ცვლა სურენ მკრტიჩიანის მეთაურობით, ჩაკიდული კიბით ეშვებოდა ხეობის სიღრმეში. გაიელვა. როცა გვირაბგამყვანები უკვე შევიდნენ შტოლნში და მიიმალნენ გვირაბში, გაწყდა.

მაღარო შეირყა. საშინელი გრუხუნი გაისმა ხეობაში. ეს იყო ზვავი! ათი ათასობით ტონა ქანი ჩამოცურდა, ისინი ანგრევდნენ ყოველგვარ დაბრკოლებებს და ხერგავდნენ გვირაბის შესასვლელს.

მაშინვე დაიწყო სამუშაოები ადამიანთა გადასარჩენად.

...ბნელდებოდა. მუშაობა თანდათანობით ძნელი და სახიფათო ხდებოდა. ამ დროს, თითქოს განგებ ამოვარდა ძლიერი გრიგალი, რომელსაც თან მოპყვა ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა.

მაღაროსაკენ კი მიდიოდნენ ადამიანები. ასობით მოხალისე მოვიდა მიწისქვეშ მყოფი ამხანაგების გადასარჩენად, იქვე დაკომპლექტეს დამკვრელი ჯგუფი.

დაშქესანელთა დასახმარებლად მოვიდნენ კიროვაბადელები. ხოლო სომხეთის, საქართველოს გზებით მაღაროელთა მისაშველებლად მაწყანდნთ მიეშურებოდნენ ალავერდის კომბინატისა და ტყიბულის მაღაროს სამთო-საშველი რაზმები.

უკუნმა სიბნელემ მოიცვა ხეობა. ქარი მძვინვარებდა, მაგრამ ადამიანები თითქოს ყელში წვდნენ ამობოჭრებულ ფოლიანს.

— ჩამონაგორის კიდევ ერთი რიგი დარჩა! — ვერ დაფარა სიხარული ძველმა გვირაბგამყვანმა ბახში მირეგმიანმა. მან გვერდით მოისროლა ბარი. — ჩქარა მომეცით ძალაყინი.

დარტყმა. კიდევ ერთი. ჩამოინგრა ქანი. წარმოიქმნა „ფანჯარა“. მზის ნათელი სხივები შეიპრა გვირაბში. ხალხი გადარჩენილია!

შვიდი მაღაროელი მიწისქვეშ 21 საათს იყო.

ᲘᲣᲕᲘᲐᲗᲘ ᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

მიმდინარე წლის 25 ივნისს, თუ კარგი დარი იქნა, ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლები ნახავენ იშვიათ ციურ მოვლენას — მთვარის სრულ დაბნელებას.

ამ დღეს მზე, დედამიწა და მთვარე ზუსტად ერთ სწორ ხაზზე განლაგდებიან სივრცეში. ამასთან დედამიწა მოსვდება მზესა და მთვარეს შორის, რაც გამოიწვევს მთვარის სრულ დაბნელებას.

ასტრონომები მრავალი საუკუნის განმავლობაში აკვირდებოდნენ მზის, დედამიწისა და მთვარის მოძრაობას. ამის შედეგად თანამედროვე ეპოქაში იმდენად კარგად არის შესწავლილი დაბნელებათა საკითხი, რომ მეცნიერებს რამდენიმე წამის სიზუსტით შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ რომელ ქვეყანაში და როდის (ასეულობით წლების წინათ ან შემდგომ) მომხდარა ან მოხდება, აგრეთვე როგორი სახის ყოფილა ან იქნება მზისა და მთვარის ილუზიას ქმნიდა, როცა შეილისა და საზოგადოების წინაშე იძულებით ფარისევლობდა, ცრუობდა და ასევე თანმიმდევრული დარჩა მაშინაც, როცა სიმართლის ძიება დაიწყო და ვიქაკაცურად შეებრძოლა ძველს, ვითომდა ლამაზ, მაგრამ „მოჩვენებით სინამდვილეს“.

ე. გოგოლევა-ალვინგის ცხოვრების გზა დაჰაჯერებელი სიცხადით ამხილება უზნეო ყოფის მთელ საშინელებას. და ეს არის ამხედრება არა ერთი რომელიმე ადამიანის, არამედ მთელი იმგვარი საზოგადოების წინააღმდეგ. თეატრმა შეძლო ამ იდეური, მაღალმორალური ტენდენციის გამოსახვა. იგი გამოვლინდა უპირველესად სწორედ ე. გოგოლევას შესრულებაში. შესაძლოა ზოგი რამ სადავოდ იყოს ფრუ ალვინგის სცენურ წარმოსახვაში, მისი შინაგანი განცდის გამოხატვის მანერაში, მაგრამ მთავარი ეს როდია. ე. გოგოლევა დიდი აქტიორული შესაძლებლობის შემოქმედია და ასეთად ვიხილეთ იბსენის პიესაშიც.

ᲒᲠᲐᲞᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲜᲔᲜ

საჩხერე. (საკ. კორ.). აქ ჯერ კიდევ გვხვდებიან უღირსი მონადირენი — ბრაკონიერები, რომლებიც აკრძალულ დროს ნადირობენ, სპობენ ფრინველებსა და ცხოველებს.

ამას წინათ დანაშაულზე წაასწარეს სოფელ სავანის მცხოვრებს გ. კომლაძეს, არგვეთელ ნ. ლაბუჩიძეს, მერჯეველ ბ. დეკანოიძეს.

მათი საკითხი განიხილა საჩხერის რაიაღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ რა წერგნაძის თავმჯდომარეობით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულების შესაბამისად სამივე ბრაკონიერს ჩამოერთვა საანდირო თოფები და დაჯარიმდნენ.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲒᲐᲓᲔᲒᲐ

□ **ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ.** (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ ახალი თეატრალური კოლექტივი დაიბადა — „შახტაშენის“ ტრესტის ჭიათურის სამმართველოს ხელმძღვანელობამ მშენებელთა კლუბის ბაზაზე შექმნა თოკინების თვითმოქმედი თეატრი. ამ კეთილშობილურ წამოწყებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს მშენებელთა კლუბის დირექტორმა ი. აპტალიდმ და აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა გ. მოდებაძემ.

□ **ᲤᲣᲐᲚᲢᲣᲑᲝ.** (საკ. კორ.). საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით სოფელ მუხიანის საშუალო სკოლა გარდაქმნილია წყალტუბოს რაიონის საყრდენ-საჩვენებელ სკოლად.

სკოლის კოლექტივი, თბილისის 77-ე და 88-ე სკოლების მაგალითისამებრ, რაიონში პირველი ჩაება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში. ახლა უკვე გვაქვს პირველი შედეგები — მინიმუმამდეა დაყვანილი ორწლიანობა, ხუთ კლასში არც ერთი აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლე არა ჰყავთ, საერთო აკადემიურმა წარმატებამ 98 პროცენტს მიაღწია.

ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა საშუალო სკოლის ახალი ორსართულიანი შენობა, რომელსაც 30 ოთახი, სამი კაბინეტ-ლაბორატორია და დიდი სპორტული დარბაზი აქვს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲒᲠᲐᲞᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲜᲔᲜ

საჩხერე. (საკ. კორ.). აქ ჯერ კიდევ გვხვდებიან უღირსი მონადირენი — ბრაკონიერები, რომლებიც აკრძალულ დროს ნადირობენ, სპობენ ფრინველებსა და ცხოველებს.

ამას წინათ დანაშაულზე წაასწარეს სოფელ სავანის მცხოვრებს გ. კომლაძეს, არგვეთელ ნ. ლაბუჩიძეს, მერჯეველ ბ. დეკანოიძეს.

მათი საკითხი განიხილა საჩხერის რაიაღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ რ. წერგნაძის თავმჯდომარეობით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულების შესაბამისად სამივე ბრაკონიერს ჩამოერთვა საანდირო თოფები და დაჯარიმდნენ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

იტალიის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდმა „ლაციომ“ მორიგი მატჩი გამართა დონეცკში „შახტიორთან“ და დამარცხდა 0:1. ბურთი გაიტანა ნალესნიმ.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ საკუთარ მოედანზე მოუგო ლვოვის არმიელ ფეხბურთელებს 1:0 და თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები ვარშავაში გამგზავრების წინ მინსკში შეხვდა ჭ. ლოძის საკლუბო გუნდს ლუ-ს და მატჩი ფრედ (0:0) დაამთავრა.

ფეხბურთელთა კიდევ ორმა კოლექტივმა მოიპოვა ტოკიოს საგზური. ესენი არიან ირანისა და განის გუნდები. ამრიგად, ცნობილია თორმეტი ფინალისტი თექვსმეტიდან. ოთხ ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას აცხადებენ სსრ კავშირი-გდრ, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა-ტაილანდი, იტალია-პოლონეთი, სამხრეთი კორეა-სამხრეთი ვიეტნამი.

იტალიაში გამართულ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე გაიმარჯვა ბრაზილიის სან-პაულომ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ლენინგრადის „ზენიტი“ 1:0.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ
25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

12.00 — ᲕᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „როცა ხეები დიდები იყო“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის — გადაცემა ციკლიდან „გიყვარდეთ მუსიკა“, 18.35 — მოკლემეტრაჟიანი ნახატი ფილმი „ახალი სახლი“, 18.45 — ჩვენი კონფერენცია, 18.50 — კინონარკვევი „გამარჯობა, ინდოეთო!“, 19.10 — კონცერტი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან, 19.30 — მახარაძის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლ „მაცი ხვიტიას“ ტრანსლაცია მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან. ტრანსლაციის შემდეგ ახალი ამბები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ **КОМУНИСТИ** ИНДЕКС 66443

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ 14. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡᲘ — 9-72-80, **ᲡᲐᲛᲓᲐᲕᲜᲝᲡᲘ** — 3-46-10, **ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ:** პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-48, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-59, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲣᲔ 11224

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

8

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲐᲜᲔᲚᲗᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1964-1965 სასწავლო წლისათვის პირველ და მეორე კურსებზე, სამეანო და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების უფროსი მედდების სპეციალობაზე, ქართულ სექტორზე.

სასწავლებელში მიიღებიან მდედრობითი სქესის 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი.

პირველ კურსზე სამეანო განხრით მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: **ქართულ ენაში** (წერა), **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (ზეპირი), **მათემატიკაში** (ზეპირი).

მეორე კურსზე ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების უფროსი მედდის განხრით მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: **ქართულ ენაში** (წერა), **სსრკ ხალხთა ისტორიაში** (ზეპირი), **ქიმიაში** (ზეპირი).

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე პირადად შემოაქვს განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ), 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №286), გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, 7. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან იმ პირთათვის, **რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნეებისათვის დადგენილ შრომადღეთა მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით და შესრულება.**

მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები ვალდებული არიან პირველი სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკი (დედანი).

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები არსებული წესის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

საბუთები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე, დღის 3-დან 5 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 52, ტელეფონი 5-41-47.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ